ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2805927

ნომერი: AR1432796

თარიღი : 17.08.2016

გაცემის თარიღი : 07.09.2016

გაცნობის თარიღი : 07.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 129 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამაზ ტვილდიანი პ/ნ 01009016511
- ვაჟა ფშაველას მე-7 კვარტალი 22 კორ ბინა 37

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 02 აგვისტოს №2753965 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 17 აგვისტოს №AR1432796 განცხადებით მომართა რამაზ ტვილდიანმა თანაგანმცხადებელ კახაბერ გოზალიშვილთან ერთად და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 02 აგვისტოს №2753965 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 02 აგვისტოს №2753965 ბრძანებით ქ. თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №129-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.02.025.127) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 02 აგვისტოს №2753965 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობისა და მანსარდის ფართობის მაჩვენებელი არ შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს, ასევე ტექნიკური შეცდომაა დაშვებული შეთანხმებულ მანსარდის გეგმაზე, +39,6 ნიშნულზე. განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა და მაჩვენებლებში საერთო ფართობი ნაცვლად 9263.9 კვ.მ-ისა დაფიქსირდეს 9235.15 კვ.მ, მანსარდის ფართობი ნაცვლად 451.05-ისა დაფიქსირდეს 422.3 კვ.მ, ხოლო შეთანხმებული, +39,6 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს №AR1432796 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულის შესწორებული გეგმით.

სამსახურმა შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა, წარმოდგენილი მაჩვენებლები და +39,6 ნიშნულის გეგმა შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 02 აგვისტოს №2753965 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:9235.15, მანსარდის ფართობი (კვ.მ).:422.3, ხოლო შეთანხმებული 39,6 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს №AR1432796 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულის გეგმით. სამსახურის 2016 წლის 02 აგვისტოს №2753965 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 02 აგვისტოს №2753965 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.